3 ქულა 3 მატჩიდან

1 ივნისს თბილისის "დინამოს" ფეხბურთელთა გუნდმა ლენინგრადში ჩაატარა მორიგი კალენდარული მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე. **დინამოელთა წინააღმდეგ თამაშობდნენ ლენინგრადის სპარტაკელები**. თბილისის "დინამოს" თავდამსხმელები ტემპიანად, შესანიშნავი კომბინაციით იბრძოდნენ. შეჯიბრების პირველ ნახევარში მათ ორი ბურთი გაიტანეს. აღსანიშნავია, რომ ტაიმის უკანასკნელ წუთებში უხეშობისათვის მოედნიდან გააძევეს ლენინგრადის ერთ–ერთი მოთამაშე და მეკარე ტყებუჩვა. მე–2 ტაიმში მოწინააღმდეგენი თამაშობდნენ 10–10 კაცით. სპარტაკელებმა შეძლეს მხოლოდ ერთადერთ ბურთის გატანა, მათ ვერ გამოიყენეს ორი პენალტი. თბილისელებმა კი ანგარიში აიყვანეს 4–მდე.

მატჩი მოიგო თბილისის "დინამომ" – 4:1. ამრიგად, გამგზავრების შემდეგ კიევსა და ლენინგრადში ჩატარებული 3 მატჩიდან თბილისელებმა მოაგროვეს 3 ქულა.

"ახალგაზრდა კომუნისტი", 3 ივნისი, 1941 წ.